ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ამხ. ,,ახალი დიღმის მასივი" II კორპუსი

საფუძველი: 12/13224503-16 12.08.2013წ.

მისამართი: ლუბლიანას ქ. მიმდებარედ

საკ.კოდი: 01.13.01.018.201 (01.13.01.018.225)

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №20/641 27.07.2006წ.

მშენებლობის სანებართვო მოწმობა – ნ/496 03.08.2006წ.

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (05.08.13) დადგინდა:

1-7 ფასადზე ცოკოლის სართულზე შემცირებულია ფრამუგების რაოდენობა და რამოდენიმეს მონაცვლებული აქვს ადგილი, აღნიშნული ფრამუგები შეუვსებელია. შენობის მთელ სიმაღლეზე შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატები. 2-3 და 5-6 მონაკვეთებში შენობის მთელ სიმაღლეზე სადარბაზოებში მოწყობილ ფანჯრებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. ამავე მონაკვეთებში სადარბაზოების შესასვლელებთან შეცვლილია საჩრდილობლების კონფიგურაცია. აივნებზე და ფანჯრებზე ნაწილობრივ დამატებულია გისოსები. კაპიტალურ მოაჯირებზე დამატებულია ლითონის დეტალები. +22.00 ნიშნულზე 2-3 და 5-6 მონაკვეთებში შეცვლილია სამერცხლეების კონფიგურაცია. +20.60 ნიშნულზე აივნებზე მოწყობილია საჩრდილობლები. ფასადზე შემცირებულია ყველა ფანჯრის სიმაღლე 0.20 მ-ით. რელიეფი აწეულია ზევით.

,,7-1" ფასადზე ცოკოლის სართულზე შემცირებულია ფრამუგების რაოდენობა და რამოდენიმეს მონაცვლებული აქვს ადგილი, აღნიშნული ფრამუგები შეუვსებელია. 5-3 მონაკვეთში შენობის მთელ სიმაღლეზე შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატები. კაპიტალურ მოაჯირებზე დამატებულია ლითონის დეტალები. აივნებზე და ფანჯრებზე ნაწილობრივ დამატებულია გისოსები. +20.60 ნიშნულზე შეცვლილია მოაჯირების კონფიგურაცია. ამავე ნიშნულზე აივნებზე მოწყობილია საჩრდილობლები. ფასადზე შემცირებულია ყველა ფანჯრის სიმაღლე 0.20 მ-ით. 6-5 და 3-2 მონაკვეთებში შემცირებულია აივნების გაბარიტები.

,,ა-დ" და ,,დ-ა" ფასადებზე (მომიჯნავე ბლოკებთან) მოწყობილია მცირე სავენტილაციოები ღიობები და გამწოვი მილები.

ფასადებზე დამატებულია გამაცხელებლები (გამათბობლის კარადები), გამწოვი მილები, ანტენები, კონდენციონერები, ფასადების მოპირკეთება და ღებვა არ შეესაბამება საპროექტოს, დასასრულებელია ნაწილი მოპირკეთებითი სამუშაოებისა, ასევე აივნებზე და ფანჯრებზე დამატებულია გისოსები. დაუსრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

სადარბაზოებში შეცვლილია კიბეების კონფიგურაცია. +20.60 ნიშნულზე სამანქანოებში ასასვლელი კიბეები კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია

ლითონის. მანსარდებში მოწყობილია ანტრესოლები (სიმაღლე 2.40 მ.). შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია.

ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით დამკვეთს წარმოსადგენი აქვს აზომვითი ნახაზი განმარტებით ბარათთან ერთად.

პროექტის ხარვეზი:

შეცვლილია კოლონების გაბარიტი და რაოდენობა (შესრულებულია კონსტრუქციული ნახაზის მიხედვით).

ბ. პაკელიანი

ლ. ცინცაძე